ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება Quelle AG v undesverband' C-404/06, ECLI:EU:C:2008:231:

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

4 დირექტივის მე-3 მუხლი, სახელწოდებით – „მომხმარებლის უფლებები", ადგენს:

„1. მოვაჭრე პასუხისმგებელია მომხმარებლის წინაშე იმ ნებისმიერი შეუსაბამობის გამო, რომელიც არსებობს საქონლის მიწოდების დროს.

2. შეუსაბამობის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს, მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოითხოვოს საქონლის შესაბამისობაში მოყვანა მისი უსასყიდლოდ შეკეთების ან შეცვლის გზით ან, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, მოითხოვოს საქონლის ფასის სათანადო შემცირება ან ამ საქონელთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებიდან გასვლა.

3. პირველ რიგში, მომხმარებელი უფლებამოსილია მოვაჭრისგან მოითხოვოს საქონლის შეკეთება ან შეცვლა, ორივე შემთხვევაში უსასყიდლოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელი ან არათანაზომიერია.

[…]

4. მე-2 და მე-3 პუნქტებში გამოყენებული ტერმინი – „უსასყიდლოდ" გულისხმობს საქონლის შესაბამისობაში მოსაყვანად გაწეულ აუცილებელ ხარჯებს, კერძოდ, ფოსტის, სამუშაო ძალისა და მასალების ხარჯებს.

[…]

6 დირექტივის 5(1) მუხლის (რომლის სახელწოდებაა „ვადები") პირველი წინადადების თანახმად:

„მოვაჭრეს დაეკისრება პასუხისმგებლობა მე-3 მუხლის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ შეუსაბამობა გამომჟღავნდება საქონლის მიწოდებიდან ორი წლის განმავლობაში."

[…]

24 […] დირექტივის მე-3(3) მუხლი ნათლად ადგენს, რომ მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის უსასყიდლოდ უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ შეუსაბამო საქონლის შეკეთება, არამედ ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მისი შეცვლა შესაბამისობაში მყოფი საქონლით. ამ დებულებით გათვალისწინებულ ყველა სიტუაციაში, „უსასყიდლობის" მოთხოვნა გამოიყენება მთლიანობაში და სრულად და მიზნად ისახავს მყიდველის დაცვას ფინანსური ტვირთების რისკისგან, რამაც შეიძლება უარი ათქმევინოს მას თავისი უფლებების დაცვაზე.

[…]

33 ამგვარად, დირექტივის ფორმულირებიდან, ასევე მასთან დაკავშირებული მოსამზადებელი დოკუმენტებიდან გამომდინარეობს, რომ თანამეგობრობის **კანონმდებლობა მიზნად ისახავდა, რომ**

მოვაჭრის მიერ საქონლის შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულების „უსასყიდლობის“ ასპექტი მომხმარებლებისთვის ამ დირექტივით მინიჭებული დაცვის ერთ-ერთ არსებით ელემენტად ექცია.

34 **მოვაჭრის მიერ საქონლის შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულებაზე მიბმული „უსასყიდლობის“ მოთხოვნა, იქნება ეს შეკეთება თუ შეცვლა, მიზნად ისახავს მომხმარებლების დაცვას ფინანსური ტვირთების რისკისგან, რამაც, როგორც გენერალურმა ადვოკატმა თავისი დასკვნის 49-ე პუნქტში დააფიქსირა, ასეთი დაცვის არარსებობის შემთხვევაში, შეიძლება უარი ათქმევინოს მათ თავიანთი უფლებების დაცვაზე.** „უსასყიდლობის“ ასპექტის კონკრეტული ბუნება […] გულისხმობს, რომ მოვაჭრეს არ შეუძლია რაიმე ფინანსური პრეტენზიის წამოყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით.

[…]

41 თუ მოვაჭრე აწვდის შეუსაბამო საქონელს, ის მართებულად არ ასრულებს ნასყიდობის ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას და, შესაბამისად, მან საკუთარ თავზე უნდა აიღოს ამ ნაკლიანი შესრულების შედეგები. **შეუსაბამო საქონლის ნაცვლად ახალი საქონლის მიღებით მომხმარებელი, რომელმაც, თავის მხრივ, გადაიხადა საქონლის გასაყიდი ფასი და, შესაბამისად, წარმატებით შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულება, უსამართლოდ არ გამდიდრებულა.** ის, უბრალოდ, დაგვიანებით იღებს ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მყოფ საქონელს, რომელიც მას თავიდანვე უნდა მიეღო.

42 ფაქტია, რომ მოვაჭრის ფინანსური ინტერესები დაცულია, ერთი მხრივ, დირექტივის 5(1) მუხლით დაწესებული ორწლიანი ვადის საფუძველზე და, მეორე მხრივ, იმ ფაქტით, რომ დირექტივის 3(3) მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, ის უფლებამოსილია უარი თქვას საქონლის შეცვლაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს ღონისძიება არათანაზომიერი იქნებოდა იმ თვალსაზრისით, რომ იგი შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს დააკისრებდა მოვაჭრეს.

[…]

44 […]

ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, სასამართლო […] ადგენს:

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის დირექტივის 1999/44/EC მე-3 მუხლი, რომელიც ეხება სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მათთან დაკავშირებული გარანტიების გარკვეულ ასპექტებს, **უნდა განიმარტოს ისე, რომ გამორიცხავდეს ისეთ ეროვნულ კანონმდებლობას, რომლის თანახმადაც, მოვაჭრეს, რომელმაც გაყიდა შეუსაბამო სამომხმარებლო საქონელი, შეუძლია მომხმარებელს მოსთხოვოს კომპენსაციის გადახდა ამ შეუსაბამო საქონლის ახალი საქონლით შეცვლამდე გამოყენებისთვის.**

მოკლე მიმოხილვა:

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განიხილა საქმე Quelle AG v Bundesverband' C-404/06, ECLI:EU:C:2008:231, რომლის შესაბამისად, ტექნიკის მაღაზიამ მომხმარებელს მიაწოდა გაზქურის კომპლექტი. გარკვეული დროის შემდეგ (2 წლამდე პერიოდში) მომხმარებელმა შენიშნა, რომ საქონელი შეუსაბამო იყო და, მისი შეკეთების შეუძლებლობიდან გამომდინარე, ის მოვაჭრეს დაუბრუნა, რომელმაც საქონელი ახლით შეცვალა. თუმცა, მოვაჭრემ მომხმარებელს კომპენსაციის სახით 69,97 ევროს გადახდა მოსთხოვა იმ სარგებლისთვის, რომელიც მომხმარებელმა თავდაპირველად მიწოდებული ტექნიკის მის შეცვლამდე გამოყენებით მიიღო.

სასამართლომ განიხილა დირექტივის 1999/44/EC მე-3 მუხლის დებულებები და დაადგინა, რომ ისინი უნდა განიმარტოს ისე, რომ **გამორიცხავდეს ისეთი ეროვნული კანონმდებლობის მოქმედებას, რომლის თანახმადაც, როდესაც შეუსაბამო საქონელი ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოჰყავთ მისი**

შეცვლით, მოვაჭრეს შესაძლებლობა ექნება კომპენსაციის გადახდა მოსთხოვოს მომხმარებელს თავდაპირველად მიწოდებული საქონლის ახალი საქონლით შეცვლამდე გამოყენებისთვის.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXIX
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის დირექტივა 1999/44/EC სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 1999/44/EC მე-3 მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი და მე-17 მუხლის 1-4 პუნქტები *(სარეგისტრაციო კოდი: 240110010.05.001.020542; 15/12/2023 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**შეუსაბამო საქონლის უსასყიდლოდ შეცვლა**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	2008 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება Quelle AG v undesverband' C-404/06, ECLI:EU:C:2008:231

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.